



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 169/ს  
28/06/2022

169-21-4-202206281829



**ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახიდურის და სოფ. თამარისის მიმდებარედ შპს „ნახიდური ჰესის“ 35 კვ ძაბვის მიწისზედა (საჰაერო) ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახიდურის და სოფ. თამარისის მიმდებარედ 35 კვ ძაბვის მიწისზედა (საჰაერო) ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 25 აგვისტოს შპს „ნახიდური ჰესის“ საჰაერო/საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის (35 კვ) გაყვანაზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-759), რომლის საფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა დაგეგმილია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახიდურის და სოფ. თამარისის მიმდებარედ. ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X - 473213 Y - 4593142; X - 475452 Y - 4591842; X - 475295 Y - 4591961. საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 111196 მ<sup>2</sup>-ს. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონიდან დაშორებულია დაახლოებით 56 მეტრით, ხოლო შპს „საქართველოს მელიორაციის“ სამეურნეო შენობა - 90 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ელექტროგადამცემი ხაზის უახლოესი (№1) საყრდენი მდ. ხრამიდან დაშორებულია 30 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის ნაწილი (35769 მ<sup>2</sup>) ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ელექტროგადამცემი ხაზის საწყისი მონაკვეთი (№1-№4) კვეთს „ნახიდური ჰესის“ სამშენებლო ბანაკისა და ფუჭი ქანების სანაყაროს ტერიტორიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, „ნახიდური ჰესის“ 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის მიზანია 7,5 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ნახიდური ჰესის“ მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის სსე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ბალანსზე არსებულ 35/110 კვ ძაბვის ქვესადგურ „ქოლაგირში“ ჩართვა.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 35 კვ ძაბვის საჰაერო/საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე შეადგენდა 3,31 კმ-ს. ელექტროგადამცემი ხაზის ძირითადი ნაწილი იყო საკაბელო, ხოლო მდ. ხრამის გადაკვეთა გათვალისწინებული იყო საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზით, სადაც ეწყობოდა ორი საყრდენი. დეტალური პროექტირების პროცესში, ხეობაში ჩატარებული ტოპოგრაფიული და გეომორფოლოგიური კვლევების შემდგომ, გარემოსდაცვითი რისკების შემცირების მიზნით, საჭირო გახდა დაგეგმილ საქმიანობაში ცვლილებების შეტანა და ნაწილობრივ საჰაერო/საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის ნაცვლად, სრულად საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე შეადგენს 2,65 კმ-ს და არსებული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, მის გასაყვანად გამოყენებული იქნება II და V ტიპის 16 ერთეული საყრდენი. დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნისა და საყრდენების განთავსების უზნების აღწერა და დაცვის ზონის (ე.წ. ბუფერი) შესახებ ინფორმაცია. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მოცემული GPS კოორდინატები რიგ შემთხვევაში არ ემთხვევა Shp ფაილებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას და დამატებით შესწავლას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის და საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი ახალი გზების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისათვის საჭირო მასალები შემოვა მზა სახით. მასალების დასაწყობებისთვის გამოყენებული იქნება „ნახიდური ჰესის“ მშენებლობისთვის მოსაწყობი სამშენებლო ბანაკი. სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე, მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, დამუშავდება საყრდენების ფუნდამენტი, მოეწყობა ხრეშის საფარი და საძირკველი. შემდგომ ეტაპზე დამონტაჟდება საყრდენები და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის სადენები. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ საპროექტო ტერიტორია დასუფთავდება და გატანილი იქნება ნარჩენები. ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 4-5 თვეს. სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება: ექსკავატორი, ამწე, გრეიდერი და დასაქმდება დაახლოებით 10-15 ადამიანი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში დასაქმებული პერსონალი, საჭიროებისამებრ, გამოიყენებს „ნახიდური ჰესის“ სამშენებლო ბანაკს, რომელიც მოემსახურება დასაქმებულებს სხვადასხვა საჭიროებებისთვის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის პროცესში საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების ძირითადი წყაროები იქნება მშენებლობაში ჩართული ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის ეტაპს, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, ინერტული და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის ეტაპზე ამოღებული გრუნტის ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილის სახით, ხოლო ნაწილი განთავსდება „ნახიდური ჰესის“ პროექტისთვის გათვალისწინებულ ფუჭი ქანების სანაყაროზე. რაც შეეხება სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, მათი დროებითი განთავსებისა და შემდგომი მართვის საკითხები დოკუმენტში მოცემული არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი ძირითადად მიუყვება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიას, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გაიშვიათებულია. ნიადაგის ნაყოფიერი ფენით დაფარულ უბნებზე, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა/დასაწყობება, რაც განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს მოხსნილი მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა და მისი შენახვის და შემდგომი გამოყენების საკითხი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის უახლოესი საყრდენი (№1) მდ. ხრამიდან დაშორებულია დაახლოებით 30 მეტრით. აღნიშნულის გათვალისწინებით მდ. ხრამის დაბინძურების რისკები უკავშირდება საყრდენების განთავსებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებს. ვინაიდან, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი ეწყობა ჰიფსომეტრიულად უფრო მაღალ ნიშნულებზე, ვიდრე მიედინება მდ. ხრამი, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მიწისქვეშა წყლებზე/ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი აგებულია ზედა პლიოცენური-მეოთხეული, ბაზალტური, ლავური ნაკადებით, მეოთხეული ალუვიური და დელუვიური ნალექების ფრაგმენტებით. ზედა ფენა წარმოდგენილია კენჭოვან-ხრეშოვანი გრუნტით - კაჭარის ჩანართებით, თიხნარის შუაშრეებით და ქვიშის

შემავსებლებით. მდ. ხრამის მარჯვენა სანაპირო წარმოდგენილია მეოთხეული ნალექებით - კენჭოვანი და ლოდოვანი გრუნტით, რიყნარის ჩანართებით, ხოლო მარცხენა სანაპირო - დელუვიურ კოლუვიური ნალექებით. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის საპროექტო დერეფნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება და დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ასევე - საკვლევ არეალში საშიში გეოლოგიური პროცესების არსებული მდგომარეობის და მომავალში მათი შესაძლო გააქტიურების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, საშიში გეოდინამიკური პროცესების თავიდან ასაცილებლად, თითოეული საყრდენის განთავსების სამშენებლო მოედნისთვის უნდა ჩატარდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხვდება მაღალი ეკოლოგიური ღირებულების ხე-მცენარეული საფარი. აღსანიშნავია, რომ მდ. ხრამის ხეობა მნიშვნელოვანია გადამფრენი ფრინველებისათვის, რადგან ერთ-ერთი სამიგრაციო მარშრუტი გადის მდ. ხრამის გასწვრივ. აღნიშნული ტერიტორია ფრინველებისათვის მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც მათი უმრავლესობა თავშესაფარსა და საკვებს მოიპოვებს. საყურადღებოა ასევე გაზაფხული-შემოდგომის მიგრაციის პერიოდიც, როდესაც ფრინველთა სახეობების მრავალფეროვნება და თითოეული სახეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება სეზონური სატრანზიტო მიგრაციების დროს. სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების რეგიონში მობინადრე ფრინველთა სახეობებიდან, „საქართველოს წითელ ნუსხაში“ შეტანილია 8 სახეობა, რომელთა დაფიქსირება ჩატარებული საველე კვლევის პერიოდში ვერ მოხერხდა, თუმცა, დიდი ალბათობით ეს სახეობები ხეობაში შესაძლებელია ბინადრობდეს. „ბერნის კონვენციით“ დაცული სახეობებიდან რეგიონში აღრიცხულია 68 სახეობა. დოკუმენტში ბიომრავალფეროვნების ნაწილი ძირითადად წარმოდგენილია ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც არასაკმარისი დასაბუთებაა დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისთვის. შესაბამისად, საპროექტო დერეფანში გავრცელებული ფაუნა, მათ შორის ორნითოფაუნა და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას. ამასთან, ფრინველებზე ზემოქმედების ნაწილში მითითებულია, რომ ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენებთან და სადენებთან შეჯახების რისკის შესამცირებლად, სასურველია ფრინველთა დასაფრთხობი სპეციალური საშუალებების გამოყენება, თუმცა, არ არის დაკონკრეტებული აღნიშნული ღონისძიებები.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და დაცული ტერიტორიები.

თავდაპირველი პროექტის მიხედვით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში საპროექტო ტერიტორიიდან ხვდებოდა 3928 მ<sup>2</sup>. სკრინინგის განცხადების მიხედვით, სახელმწიფო ტყეში მოქცეული ფართობი

მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეადგინა 35769 მ<sup>2</sup>, რომელიც წარმოადგენს ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, ფახრალის სატყეოს (ყოფილი საკოლმეურნეო ტყე) და წალკათეთრიწყაროს სატყეო უბნის, თეთრიწყაროს სატყეოს კვარტალ №47-ს. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ელექტროგადამცემი ხაზის საწყისი მონაკვეთი (№1-№4) კვეთს „ნახიდური ჰესის“ სამშენებლო ბანაკისა და ფუჭი ქანების სანაყაროს ტერიტორიას. დოკუმენტში მოცემული არ არის „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებთან თავსებადობის საკითხი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში მსგავსი სახის საქმიანობა არ მიმდინარეობს, თუმცა, კუმულაციური ზემოქმედების რისკებად განხილულია „ნახიდური ჰესის“ სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენების წარმოქმნით გამოწვეული ზემოქმედება, ასევე ბიოლოგიურ გარემოზე და სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახიდურის და სოფ. თამარისის მიმდებარედ შპს „ნახიდური ჰესის“ 35 კვ ძაბვის მიწისზედა (საკაერო) ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნახიდური ჰესს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო